№ 736 ხუთშაბათი, 28 იანვარი. 1896—1899 ხუთშაბათი, 28 იანვარი № 736

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-თად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რე-დაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-ტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ცალკე ნომერი 3 კაპეკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363

## 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 იანვარს

ბენეფისი ს. პ. სვიმონიძისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან, ქ-ნ ვ. ს. მესხის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება ახალი პიესა:

კონსტანტინე ბატონიშვილი

ისტორიული დრამა 5 მოქ. თხზ. ა. ყაზბეგისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა

„სახელმძღვანელო"

სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების მოწაფეთათვის

შედგ. მღვ. ნ. ჟუჟანაშვილის მიერ

ფასი ყდით 30 კაპ.

ცალკე თითო კაპეიკი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—12)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს ორგანოების და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

უფასოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

ვორონცოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—4)

ვატყობინებთ ჩვენი „კედლის კალენდრის" გამყიდველებს, რომ უკეთუ ვისმეს დარჩა გაუყიდველი და ამა იანვარშიც დარჩებათ გაუყიდველი ფიქრობენ, დაუყოვნებლად გამოგვიგზავნონ, რომელიმე ჩვენს მაღაზიებში.

ძმ. თავართქილაძეები. (10—8)

სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

* * * სვ. სვიმონიძის ბენეფისი. დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის საყვარელის არტისტის სვიმონ სვიმონიძისა. თავისს საბენეფისო წარმოდგენისთვის ბ. სვიმონიძეს აურჩევია ფრიად საინტერესო პიესა „კონსტანტინე ბატონიშვილი" (ივივ ქვეთევან წამებული) ალექსანდრე ყაზბეგისა. ეჭვი არ არის ჩვენი საზოგადოება სიამოვნებით დაესწრება ამ ფრიად საინტერესო წარმოდგენას.

* * * ეკლესიასთან საეტლო გზის უქონლობის გამო. კავკასიის მთავარ-მართებლის მინდობილობით გუბერნიის მმართველმა სტეფანოვიჩმა სთხოვა ქალაქის მოურავს, დაუყოვნებლივ მაცნობეთ, დათანხმდნენ თუ არა ადგილის პატრონები დაუთმონ ადგილი წმ. იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიას მასთან საეტლო გზის გასაყვანად, რომელიც ამ ჟამად არა აქვს ამ ეკლესიასა და საზოგადოდ როგორ არის ამ გზის საქმეო.

* * * ახალი დანიშნულება. ბათომიდან იუწყებიან, რომ ბათომის ოლქის გონიოს ნაწილის უფროსი შტ. კაპ. თავ. ლეონიძე გადაყვანილ იქმნა იმავე ოლქის ქობულეთის ნაწილის უფროსად, ხოლო მის ადგილზე-კი დანიშნულ იქმნა ტყიბულის საპოლიციო ნაწილის დროებითი მმართველი კაპ. მახვილაძე.

* * * გლეხ. მიხ. თათიაშვილის საქმე. 25 იანვარს ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიამ გაარჩია საქმე სოფ. გრაკალის გლეხის მიხ. თათიაშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა, რომ ის 1898 წ. 3 ივლისს, სოფ. სირკეთსა და მეტეხს შუა გზაზე თავს დაეცა აზნ. გიორგი თუხარელს, რომელსაც ის თან ახლდა, დანით დასჭრა მოკვლის განზრახვით და მოსტაცა 139 მან. ოლქის სასამართლომ თათიაშვილს მიუსაჯა 6 წლის კატორღა.

* * * აზნ. დავ. აბაზაძისა და მიხ. სემიჩის საქმე. იმავე სასამართლომ გაარჩია აზნ. დავით აბაზაძისა და მიხ. სემიჩის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ გლეხების ნოზაძისა, ტიქუევისა, საძაგელაშვილისა და ბოლდანოვის გაძარცვა. სასამართლომ გაამართლა ბრალდებულნი.

* * * ოქროს ოცდა-ხუთიანი. გაზეთები იუწყებიან, რომ მალე მოიჭრება ოქროს ოცდახუთ მანეთიანი.

*** **ქართული საღამო განჯაში.** განჯიდან იუწყებიან, რომ 31 იანვარს იქ გაიმართება ქართული საღამო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. დაიდგმება წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ტფილ. ქართული სცენის ზოგიერთი არტისტები და შემდეგ-კი გაიმართება ცეკვა-თამაში.

*** **საეკლესიო სამრევლო სკოლის შეგირდების გამოცდა.** 25 იანვარს, საეკლესიო სამრევლო სკოლების კომიტეტმა, საეპარქიო სამრევლო სკოლების მზრუნველის, ტატიშვილის თავმჯდომარეობით, გამოსცადა რუსულ-ქართულ გალობაში შემდეგის სამრევლო სკოლის შეგირდები: ქვაშვეთისა, მთაწმიდისა, სოლოლაკისა, ვერისა და სამებისა, რომლებშიაც გალობის მასწავლებლად არის ბ-ნი შარაშიძე. გამოცდა მოახდინეს ქვაშვეთის ეკკლესიის სკოლაში. სიმართლე უნდა ვაღვიაროთ, რომ ბ. შარაშიძეს არ დაუკლია შრომა და ხსენებულის შეგირდებისთვის, ასე, თუ ისე, შეუსწავლებია სრული გალობა, მხოლოთ სამწუხარო ის არის, რომ თითქმის ყველა შეგირდები ქართველები ირიან და ქართული გალობა მარტო „ამინ“, „უფალო შეგვიწყალენ“, „მოგვმადლე“ და „შენ უფალოს“ მეტა არ სცოდნიათ, ისიც მხოლოდ ერთ ხმაზედ. კარგს იზამს ბ-ნი შარაშიძე, რომ ქართულს გალობას უმეტეს ყურადღებას მიაქცევდეს და ყველა ხმებზედ შეასწავლიდეს.

*** **მოძრაობა ყარსის რკინის გზაზე.** როგორც „ტ. ფ.“ იუწყება, გზათა მინისტრის განკარგულებით ყარსის რკინის გზაზე სად. კარაკლისამდე სახალხო მატარებლები სიარულს დაიწყებენ 29 ამა იანვრიდან მატარებელი ტფილისიდან კვირაში ორჯერ გავა.

*** **შემცირებული ტარიფი შავ ქვაზე.** 13 თებერვლიდან მოქმედებას დაიწყებს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე შავი ქვის გადასატანი ახალი ტარიფი, რომელიც სამი კაპიკით უფრო მცირეა აწ არსებულ ტარიფზე.

*** **გემის შეძენა ფოთის პორტისათვის.** გზათა სამინისტროს მიეცა 800,000 მან. ფოთის პორტისათვის საგანგებო ბუქსირიანი გემის შესაძენად.

*** **მადლობის გამოცხადება.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ მომცეთ შემწეობა თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადო ჩემს მანუგეშებელს ქ-ს ფოტინე ბერეჟიანისას. მათის საშვალებით შემიგროვა ფულები და მომცა შეძლება სწავლის დასასრულებლად, აგრეთვე უგულითადეს მადლობას მოვახსენებ იმ პირებს, ვინც სახსრათ ჩემდა მოიკლეს და აღმომიჩინეს შემწეობა სწავლის დასასრულებლად.

მანეთ-ნახევარი ივანე დუმბაძემ, თითო მანეთი: ფ. ბერეჟიანისამ, პ. ა. შიტელმანმა, ლ. დავლიანიძემ, ე. ხავთასმა, კ. ლლონტმა, ვ. სარიშვილმა, ვ. სულავამ, გ. დოლიძემ გ, ცხომელიძემ, ს. დოლიძემ,

ათი შაური: ს. კიკნაძემ, ნ. სარუხანოვმა, დ. ძნელაძემ, ყ. ცინცაძემ. ვ. რევიამ, ლ. კოპლატაძემ, ნ. ცინცაძემ, ე. ბერიძემ, ნ. თოიძემ, ა. ვენსკევიჩმა, კ. კოპლატაძემ, ე. კალანდაძემ, ი. ჰანიშვილმა, პ. მეძმარიაშვილმა, ა. ჰანიშვილმა, ა. კოპლატაძემ, პ. ანჯაფარიამ, ა. მეგრაშოვმა, ნიკიტა ო. პ, ს. სილაკაძემ, კ. ძაძამიამ, ყ. ვეგეჰკორმა, მ. გეგეჰკორმა, დავითამ, ს. გოგვაძემ, № უშვეიძემ, ,, გოციძემ, ს. კახიანმა, № ჩაგანავამ, ე. ფხაკაძემ, ე. ახობაძემ, № იბინაიშვილმა, ი. ლორთქიფანიძემ, ა. რუხაძემ, გ. კალანდაძემ, ა. გოგობერიძემ, დ. შენგელიამ, გ: სიხარულიძემ, დ. ქარცივაძემ,

ორი აბაზი: ლ. გედევანიძემ, № კუნდრუხიძემ, № ბაბუცი.

შვიდი შაური: გ. ხაინდრავამ,

ექვსი შაური: ს. ძნელაძემ, გ. შენგელიამ. პ. დუდუვამ, № ცხადაძემ, დ. თოფურიამ, ვ. გოგორიშვილმა.

ხუთი შაური: ა. სულავამ, № ტარასიმ, № ბრეგვაძემ, № ტეხაშვილმა

აბაზი: ფ. დერიპალკამ, ა. კახიანმა. თ. მშვიდობაძემ, ვ. ხამასურიძემ, ე. კოპლატაძემ, ლ. გაჩეიშვილმა. (ბაქოს ბუფეტჩ.). № შა-ლანოვმა, ყ. ხუხუნაიშვილმა, № გოგნამ. № გენძეხაძემ ი. ჰკუასელმა, ბ. თოფურიამ, ბ. კახიანმა,

სრულიად მივიღე 37 მ. 25.

მოსწავლემ თბილისის საბებიო ინსტიტუტისა ბარბარე თავბერიძის ასულმა.

*** **ყაზანი** (რუსეთი). **ქართული წირვა აკადემიაში.** 14 იანვარს, როდესაც მთელი საქართველო დღესასწაულობს წმ. ნინოს, ქართველთა განმანათლებლის დღეობას, ჩვენც, ყაზანელ ქართველებმა, შორეულ რუსეთიდგან შეუერთეთ ერთი აკკორდიც სრულიად საქართველოს „ქებათა-ქებას“ და აღტაცებულ გალობას. წრეულსაც, როგორც შარშანაც, აკადემიის რექტორმა ნება დაგვრთო ქართულად წირვისა 14 იანვარს. ამ დღისთვის ჩვენ შეძლებისა დაგვარად ვემზადებოდით. გამოვიწერეთ ბ. ბენაშვილის ნოტები ოთხ ხმაზე გადაღებული. რადგანაც აქ ქართველები ცოტანი ვართ და ვინც ვართ ზოგმა, საუბედუროდ, ნოტები არ იცის, ან ხმა არა აქვს, ჩვენ ვსთხოვეთ რუსებს, სტუდენტებს, დაგვხმარებოდნენ. ამხანაგებმა თხოვნა აგვისრულეს და საზოგადოდ კარგად იგალობეს, თუმცა ქართულ გალობის კილოს და მელოდიას ხელს უშლიდა მათი გადამახინჯებული გამოთქმა-აქცენტი. წირვას დაესწრო ყოვლადუსამღვდელოესი ანტონი, ზოგიერთი პროფესორები და სტუდენტობა...

14 იანვარს, როგორც ზემოთ ვსთქვით, ქართველების საეროვნო დღეა. წმ. ნინო, რომლის ღვაწლმოქმედებას დღესასწაულობს, დღეს საქართველოს ეკკლესია, ის ცხოველ ყოფელი წყაროა, ის საძირკველია, რომელზედაც აშენდა ახალი საქრისტიანო საქართველო, ახალის ისტორიულის დანიშნულებით და მისსიით. წმიდა ნინომ სამუდამოდ დანერგა საქართველოში ქრისტიანობა, ყოველ მისს კუთხეში აღმართა ქრისტეს ჯვარი. ამ გარემოებამ მთლად სახე შეუცვალა ძველს საქართველოში, სხვა მიმართულება მიხცა საქმეთა მიმდინარეობას, ახალის ძალით შეაიარაღა ქართველი ერი. ქრისტიანობის მტრებმა იგრძნეს ეს ახალი ელემენტი ხალხის ცხოვრებისა და შეინძრენ, აბობოქრდნენ. მაგრამ ორმუზდებს, ხოსროებს, არაბებს, სელჯუნებს, მონგოლებს, სპარსელებს მოუჩლუნგდათ მახვილი ქრისტიანობას და ჯვართან ბრძოლის დროს. . მართალია საქართველომ ბევრი შავი დღე ნახა, ბევრი წვალება, ნგრევა-ტანჯვა გამოსცადა, ბევრი შვილები დაჰკარგა, ბევრი აუტანელი სისხლი დაღვარა,—ასე რომ საქართველოში არ არის ისეთი ადლი, ადლი კი არა მტკაველიც, რომ ქართველის სისხლით არ იყოს გამაძღარი და ქართველის ძვლები არ ჰქონდეს გულზე მიკრული, მაგრამ მან მაინც გმირულად, თუმცა მთლად დაჭრილ-დაიარავებულმა, მეცხრამეტე საუკუნემდე მოატანა და თავის შვილებს ხელ-უხლებლად ჩააბარა „ენა, საყდარი, სარწმუნოება“ და ერთ მორწმუნე მეფეს ჩააბარა თავისი, ვიტყვით ერთი რუსის მწერლის სიტყვით: „свою покорную, но не покоренную корону“. მართლა-და ვინ არ ჯიჯგნიდა საქართველოს, ვის არ სურდა ის ჩაენთქა-ჩაეყლაპა? თურქი, ლეკი, დიდო, სპარსი, მონგოლი, არაბი და ხანდისხან ბერძნებიც. ყველა მისი მტერი იყო და „ყველამ წაჰკრა თითო ხიშტი“ ... ყველამ ს... გრძნობელად ჩაუკაკუნა ... ხშირა... ისედაც საშინაო უთანხმოებ... დაუძლურებულს „მრავალ ტ... ჯულს“ ღვთის მშობლის ხვედ... მაგრამ საქართველო მაინც, რ... გორც სფინქსი, ახლდებოდა ... კვლავ იკრებდა ძალ ღონე—ენე... გიას. აღმოიფხვრნენ პირისაგ... ქვეყნის ხალხნი, რომლებიც ბევ... შემთხვევაში მაღლა იდგნენ სა... რთველოზე, და ვერ დაუტო... შთამომავლობას ნიშან-წყალი ... ვის არსებობისა, თითქმის თ... სახელიც, ქართველებმა კი აღბ... დეს თავის ნავალი და თავისებ... რი კულტურაც უანდერძეს შ... მომავლობას და ისტორიას. ს... არიან ახლა ქართველების თანა... დროვე ხალხნი, რომლებიც ქ... ყანას აკვირვებდნენ თავიანთ ძლ... ვა-მოსილებით, აპჯარ-იარაღ... ჩხრიალ-ჟღარუნით, სიმდიდრ... და სიდიადით? სად არიან მაგალ... თად, ფინიკიელები, ქალდეველ... ხოზარები, აფინელები, ასურე... ბი, სპარსელები, ალბანელები ... კიდევ ბევრი სხვა? ისინი გაქ... ნენ, საქართველო და ქართველ... კი ღვთის იმედით დღესაც ც... ხლობენ, არ დაბერებულან, გა... გვარება არ მიჰკარებია მათ! ... იყო ამის მიზეზი? რამ გაადო... და ქართველობა? რითი აიხსნ... მისი გმირობა? ამ კითხვებზე ... მიუგებთ ბ. მარკოვის სიტყვებ... „მართლ-მადიდებელ ჯვარი, ... ბობს პატივცემული ავტორი, ... ბლიეთ ხდებოდა ქართველის ... შობლოდ სიმბოლოდ მისი ს... ხოსნობისა; ქრისტიანობის და... შეადგენდა მის ისტორიულ დ... შნულებას. ქართველი ერი ჰე... რიტად ჯვაროსანი ერია (народ... крестоносецъ). როგორც რა... ჯვაროსანი, ეს ერიც მთელ თა... სიცოცხლეს ატარებდა ლოც... და სისხლით ბრძოლაში ისლამ... ათასზე მეტი წელიწადია, რომ მას არ გაუგდია მახვილ... ლიდგან და თუმცა ქრისტიან... ჯვარი არ იყო ამოქარგული ... დროშაზე, მაგრამ ის გულ... ლში და მთელ არსებაში ჰქ... მას გამჯდარ-გამსჭვალული. .

საქართველო გარს შემორტ... ლი იყო მრავალ სისხლის მწო... ხალხოსნობით; ის ბევრჯერ ... მორჩილებიათ: მათი ნიადაგი ... რჯერ მოურწყავთ სისხლით; ... სიწმინდეები შეუგინებიათ და ... მაგრამ ამისდა მიუხედავად ის ... ინც შემოიკრიბა მთელ საქ... წიფოდ: მას ჰქონდა თავის სა... მა მართვა-გამგეობისა, თავის... მართალი და კანონ-მდებლ... თვის წოდებრიულად დაყო... მკვიდრნი, თვისი სოციალურ... ეკონომიური წეს-წყობილ...

...რთველოს ხშირად გათენებია ...ლენი დიდებისა"; მის ტახტს ...მშვენებდნენ ვახტანგ გორგასლა...ნი, დავით აღმაშენებლები, თამ...ები, ირაკლები, რომლების წი...მე თრთოდნენ და მუხლს იდრე...დნენ მეზობელი ერები. ქართვე...ის ხმალი ელავდა და მისი ხმა ძლიერად გაისმოდა შორეულს ...ნდოეთშიაც. მას ხშირად ხარკს ...ძლევდნენ სომხები, თათრები, ...სპარსელები, ბერძნები და სხვა. ...დაუსრულელი ხვალისთვის.

იპ. ვართაგავა

** ს. **მეტეხი** (ქართლი). ხა...ხათის გაუსწორებლობა. მეტეხი...დან 2 ვერსის მანძილზე მდებარე ...ფ. ზეგარდის მცხოვრებელი აზ... ...ლექსანდრე ბასილაშვილი სხვა ...ა სხვა ბოროტ-მოქმედების გამო ...რამდენიმე წლის წინად გაგზავ...ილი იქმნა ადმინისტრატიული წე...ით ხარკოვის გუბერნიაში 4 წლის ...დით ხასიათის გასასწორებლათ. ...სილაშვილმა 2 წელიწადი ამ გუ...ბერნიაში გაატარა და ორიც მა...ფესტით ეპატია. რა წელიწად...ც საქართველოში დაბრუნდა, ...ვე წელს კიდევ კაცი მოკლა და ...ლა ამის გამო საოლქო სასამა...რთლომ გადაუწყვიტა საუკუნოდ ...ციმბირება. ახლა ბასილაშვილმა ...მე სამოსამართლო პალატაში ...დაიტანა, ხოლო დღეს თავდე...ით არის გამოშვებული. ამას წი...ად ეს ვაჟბატონი ჩვენს მეტეხში ...მობრძანდა, მოსტაცა ერთ გლეხს ...ლი, წაიყვანა თავის სახლში ...ა დღესაც იქა ჰყავს თავის ცოლ...ან ერთად, რომელიც ამის გამო ...ტად შეწუხებულია. აი ხასია...თის გასწორებაც ასეთი უნდა!. ...რიგო არ იქნება, რომ ამ გარე...ოებას ყურადღება მიაქციოს ვი...ც ჯერ არს და მალე მოგვაშო...როს ეს ბოროტ-მომქმედი ვაჟბა...ტონი.

მეტეხელი გლეხი ალექსი მირზაშვილი

---

## ...მ. მოწამე არჩილი, საქართველოს მეფე *)

...სწორედ ამ სიყვარულმა გააწირ...ვინა თავი მეფეს ხალხის სამაგა...ლითოდ, მის გასამხნევებლად. მას ...წამდა მტკიცედ, რომ უქმად, ...უნაყოფოდ არ ჩაივლიდა მისი თავ...დავიწყება, მისი ღვაწლი, სწამდა, ...რომ თვისი სისხლით ის იხსნიდა ...სამშობლო ქვეყნის ქრისტიანობას ...შესუსტებისაგან და ქართველ ერს ...კი სჯულის უარყოფისა და გადა...ჯულებისაგან... მთელი სიცოცხ...ლე წმ. მეფის არჩილისა მიმდინა...რეობდა გამუდმებულს მოღვაწეო...ბაში ქრისტიანობის სასარგებლოდ, ...მთელი მისი სიცოცხლე ბრძოლა იყო, ბრძოლა ქრისტიანობის მტრებთან, მთელი მისი სიცოცხლე ხალხისთვის ცოცხალი მაგალითი, ცხოველი სახე იყო მტკიცე სარწმუნოებისა და მაღალ ზნეობისა. როდესაც საქართველოს შემოესია არაბთა მხედართ-მთავარი მძვინვარე მურვანი, რომელსაც შეუბრალებლობისთვის ქართველებმა „ყრუ" დაარქვეს, არჩილი საომარს მზადებაში იყო ამ დროს დასავლეთის საქართველოში თვის ძმა მირთან ერთად.. ორსავე ძმას მოუხდა შეტაკება მურვან ყრუსთან, რომელიც საქართველოს 731 წ. შემოესია... ამ შეტაკებაში მეფე მირი მოკლულ იქმნა, და არაბები დამარცხდნენ. ამის შემდეგ მეფობა არჩილს დარჩა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ეკკლესიის აღსაყვავებლად... მეფე არჩილი მფარველ ანგელოზად და ზეციურ ნუგეშად მოევლინა არაბთაგან დაწიოკებულს ქართველ ერსა, რომლის უმრავლესი ტაძარი და სახლკარი დანგრეული იყო მურვან ყრუსაგან, ბევრი ქალაქი, დაბა და სოფელი გადამწვარი იყო არაბთა მიერ... საჭირო იყო თავ-განწირული მოღვაწეობა მეფისა, რომ აღედგინა საქართველო ნანგრევთაგან და ხალხი დაემოშმანებინა... წმ. არჩილი მთელი თორმეტი წლის განმავლობაში იღვწის თავ-დადებულად საქართველოს კეთილ-დღეობისთვის: აქ აშენებს ახალ ტაძრებს, იქ განაახლებს არაბთაგან დანგრეულს ეკკლესიებს, აქ აღაშენებს ქალაქს, იქ სოფლად დაასახლებს მთაში გახიზნულს ქართველებს, აქ მართავს სკოლებს ახალთაობის აღსაზრდელად, იქ ჰგზავნის მქადაგებლებს იესოს სწავლის წარმართთა შორის დასამკვიდრებლად. მართლაც „ქართლის ცხოვრების" და სხვა საისტორიო წყაროების მოწმობით, წმ. არჩილი სცდილობდა აღედგინა ქრისტიანობა კავკასიის მთიულთა შორის და აგრეთვე ძველს ჰერეთში, აწინდელ ზაქათალას მაზრაში, საზოგადოდ აღედგინა, გაემტკიცებინა ქრისტიანობა იქ, სადაც ის დაჩაგრული და შესუსტებული იყო არაბთაგან... აი რას ვკითხულობთ წმ. არჩილის შესახებ ერთ საისტორიო წყაროში: „მოვიდა არჩილ კახეთად და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი (ე. ი. კასრის საყდარი; საინგილოში, სოფელ კაკს, მთაზე) და ხევსა ლაკვასტისასა აღაშენა ციხე-ქალაქი... ნუხპატელნი იყვნენ უწინარეს კაცნი წარმართნი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი". წმ. არჩილმა სწორედ იმ ქვეყნებს მიაქცია ყურადღება, რომელთაც ძველთაგანვე საქართველოს ეკკლესია აქცევდა ყურადღებასა და არასოდეს ივიწყებდა. ეს ქვეყნებია კახეთი და მისი მეზობელი—მთიულეთი, სადაც წმ. ნინოს დროიდანვე არ შეწყვეტილა ქრისტიანობის ქადაგება. აქ ჰქადაგებდნენ ქრისტიანობას წმ. ასურელი მამები: იოსებ ალავერდელი, ანტონი მარტომყოფელი, სტეფანე ხირსელი, ზენონ იყალთოელი და სხ. არაბთა მქადაგებლებმა ამ მხარეში შეასუსტეს ქრისტიანობა და ამის გამო ფრიად საჭირო იყო მისი აღდგენა... წმ. არჩილ მეფემ გაამტკიცა აქ ქრისტიანობა და შეასუსტა მაჰმადიანთა სარწმუნოება... ვინ იცის, ეგებ ასეთი სასარგებლოდ ქრისტიანობისა მოღვაწეობა გახდა უმთავრესს მიზეზად საქართველოში არაბთა შემოსევისა ჰიჰუმ აზიმის წინამძღოლობით... ქართველები ხარკს იხდიდნენ არაბთა სასარგებლოდ და ამიტომ ჰქონდათ უფლება შეუწროებლად ცხოვრებისა იმათ ბატონობის ქვეშ... ჰიჰუმი მოულოდნელად დიდძალი ჯარით შემოესია საქართველოს, „მოაოხრა და შემუსრა მთელი ქართლი". აქედან ის გაემგზავრა კახეთისკენ... მთელ საქართველოს შიშის ზარი დაეცა მტერთა მოულოდნელი შემოსევის გამო... ხალხი მზად არ იყო მტრის დასახვედრად მურვან ყრუსაგან აოხრებული და განადგურებული ქვეყანა ცოტათი წელში იმართებოდა, თუმც თვისს კვალში ჯერ ვერ ჩამდგარიყო.. მას არ შეეძლო გამკლავებოდა შემოსეულს მტერს... ღრმად შეებრალა მეფე არჩილს თვისი სამეფო და უფრო მეტის სისხლის ღვრის ასაშორებლად განიძრახა ჰიჰუმ აზიმის ბანაკში წასვლა, „რათა ითხოვოს მშვიდობა ქვეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკკლესიათა" და არღა სტანჯოს მან ქრისტიანები სჯულის გულისთვის. მან, იტყვის მისი ცხოვრების აღმწერი, „აღირჩია თავისა თვისისა და სულისა დადება სახსრად ქრისტიანეთა". წმ. არჩილი მივიდა მტრის ბანაკში. ჰიჰუმ აზიმმა დიდი სიხარულით მიიღო ქართველთა მეფე. მან აქო სიკეთე მისი, შეუყვარდა სისრულე ჰასაკისა მისისა და უმეტესად მშვენიერება პირისა მისისა"...

ილ. ფერაძე

(დასასრული იქნება)

*) ...«ცნ. ფურც.» № 735.

---

## სასამართლოს მატიანე

**ყალბი ვექსილის საქმე.** 19 ივლის, 1897 წ., ქ. ტფილისში, ნაფიცმა ვექილმა დანილოვმა, მარიამ გრიგორიევის მინდობილებით, წარუდგინა ტფილისის ნოტარიუსს პოლტარაცკის ვექსილი, რომლის ძალით გამსესხებელ კასის პატრონს გიორგი ივანოვს უნდა გადაეხადნა მარ. გრიგორიევისათვის 10,000 მან. ივანოვმა განუცხადა ნოტარიუსს, ეს ვექსილი ყალბიაო და შემდეგ იმავე დღეს ტფილისის ოლქის სასამართლოში საჩივარი შეიტანა მარიამ გრიგორიევზე.

გამომძიებელს ივანოვმა სხვათა შორის, აუხსნა: 1896 წლის ოქტომბრამდე მე მახლობელი კავშირი მქონდა ბრალდებულ გრიგორიევის ქალთან, ხოლო მას შემდეგ, როცა ეს ქალი კანონიერად დაქორწინდა, მე შევწყვიტე მასთან კავშირი და განშორების დროს მივეცი მას იმდენი ფული და ნივთი, რამდენიც მისთვის საჭირო იყოო, მაგრამ ვექსილი კი მე მისთვის სრულიად არ მიმიცია და არსებული ვექსილი ყალბიაო. გარდა ამისა, გრიგორიევის ქალს, როგორც ღარიბს, არ შეეძლო ამდენი ფული ესესხებია ჩემთვის ვექსილით, პირიქით, ჩვენ შორის კავშირის შეწყვეტის შემდეგ, საცხოვრებელ სახსრის უქონლობის მომიზეზებით ის მე მიგზავნიდა ხოლმე სხვა და სხვა პირთ და მთხოვდა ფულით შემწეობას 25—30 მანეთამდეო, რაც მოწმეებმაც დაამტკიცეს. თუ რა სახით შეიძინა გრიგორიევისამ ივანოვის ვექსილი, ამის შესახებ ეს ქალი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჩვენებას იძლეოდა და, სხვათა შორის ისიც აღიარა, ამ ვექსილის შეძენა 150 მან. დამიჯდაო. ამასთან ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ვექსილის ხელნაწერს და მის წარწერას არაფერი აქვს საერთო ივანოვის ხელთან, აგრეთვე არც ბრალდებულის გრიგორიევის ხელს არა აქვს არავითარი მგზავსება ვექსილის ხელ-ნაწერთან და წარწერასთან.

ეს საქმე გაირჩა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში 26 იანვარს. სასამართლომ მარიამ გრიგორიევისა დამნაშავეთ სცნო ყალბი ვექსილის შეძენაში და ამ ვექსილით ვალის მოთხოვნაში, მიუსაჯა მას ყოველ გვარ უფლებათა ჩამორთმევა და სამი წლით დატუსაღება („კავ.").

---

## გამოსადეგი ცნობა

მუნი და მისი წამლობა. მუნი ანუ [illegible]ნის ქავილი ადამიანს უჩნდება ან იმ ლოგინიდგან, რომელშიაც მუნით ავადმყოფი წოლილა, ან ტანისამოსიდან და ან იმ ცხოვრებიდან, რომლებსაც მუნის ტკიპები ჰყავთ. მუნით ავადმყოფი უნდა მოარიდოთ სად ადამიანს, რადგანაც მუნი გადამდები სნეულებაა. მისს წამლობას შეადგენს ტკიპების დახოცვა და ზედა კანზედ ხუწუწების გახმობა, რომელიც გამოწვეულია ქავილისაგან. ვანის მიღება ძა-

ლიან მავნებელია. მუნის მოსასპობლად შემდეგი საშუალებაა მარგებელი: ერთმანეთში უნდა აურიოთ „პერუვიანის“ ბალზამი და „სტირკასის“ სითხე ორივე თანაბრივ, ლურჯი და გაწმენდილი კუპრი, ათი ნაწილი ქიმიური სხეულისა, მწვანე საპონი და ღორის ქონი — ოცი ნაწილი, ათი ნაწილი კალა-ქვა (ნაცარტუტის მარილი) ათი ნაწილი, „ლანოლინი“ 50 ნაწილი და ვაზელინი ოცდა ხუთი ნაწილი.

ავადმყოფი უნდა დაიზილოს დილით და საღამოთი. განსაკუთრებითი ყურადღება დაზელვის და წამლის წასმის დროს იმ ადგილებზე უნდა იყოს მიქცეული, სადაც მუნის ხუწუწებია ამოურილი.

## ყურმოკრული საუბარი

ერთს მაჰმადიანს ჰკითხეს.

— ეგ როგორი ჩვეულება გაქვთ: თქვენი გასათხოვარი ქალები პირ-ახდილნი დადიან და ქმრიანები კი პირბადეს იკეთებენო?—

მან უპასუხა: გასათხოვრები იმიტომ არ იკეთებენ პირ-ბადეს, რომ საქმროს ეძებენ და ქმრიანებს კი ეშინიანთ უცხოს არავის შეუყვარდეთ და ჩვენმა ქმრებმა ეჭვიანობა არ დაგვიწყონო.

—

— ანეტო, გაუკეთე მიშას სადორბლე.

— რათ უნდა, ქალბატონო?

— მე ამ საათში სიმღერა უნდა დავიწყო.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ადამიანის ჩონჩხის აწერა. ერთმა მევახშემ წარუდგინა აღსრულებითი ფურცელი სამოსამართლო ბოქაულს და სთხოვა აეწერა მევალის მოძრავი ქონება. მევალე და ბოქაული შეუდგნენ აწერას, მაგრამ მათდა სამწუხაროდ მოვალის სახლში ვერაფერი ვერ იპოვეს, გარდა ერთის დანჯღრეულის ტახტისა და სამ ფეხა სტოლისა, რომელზედაც შვიდი-რვა წიგნი იდვა. წასვლის დროს მევახშემ ტახტ ქვეშ რაღაცა თეთრ ზეწარში გახვეული დაინახა, გაექანა გახარებული და გამოათრია... გახსნეს ზეწარი და შიგ ნახეს, ადამიანის ჩონჩხი... მოვალემ დაუწყო ხვეწნა-მუდარა, რომ ეგ ჩონჩხი ჩემის მეგობარის ექიმისაგან მოვიტანე, რადგანაც ვემზადები ექიმის წოდების მისაღებადაო. უჯიათმა მევახშემ ახლოს არ მიიკარა მევალის თხოვნა და ბოქაულმა ჩონჩხი აწერა.

— რას აფასებ ამ ადამიანის ჩონჩხს?— ჩაეკითხა ბოქაული მევალეს.

— მე არ ვიცი, სწორე მოგახსენოთ, თქვენ უფრო გამოცდილი ხართ მაგგვარ საქმეში. თქვენ დააფასეთ.

— რას მეუბნებით, ხუმრობთ, თუ რა არის? კაცი ამ სამსახურში გავბერდები და ჩემს დღეში ამნაირი საგანი არ ამიწერია.

— მაშ კარგი, მე ვაფასებ ამ ადამიანის ჩონჩხს 4 მან.—75 კაპ. და ზეწარს 25 კაპ.

— რას ამბობთ, მაგ ფასად ძაღლის ჩონჩხსაც ვერ იყიდით, არამც თუ ადამიანისას. ეს ჩონჩხი 30 მანეთზე მეტი ღირს, უპასუხა ბრაზ-მორეულმა მოვალემ.

აწერა გათავდა.

— მოვალევ, ვიდრე ეს ჩონჩხი საჯარო ვაჭრობით გაიყიდებოდეს არ შეიძლება თქვენთან იყოს? — ეკითხება ბოქაული.

— მე ხვალვე სხვაგან მივემგზავრები.

— არც თქვენ შეგიძლიანთ, სახლის პატრონო?

— რა ჩემი საქმეა, მაგნაირ საქმეებში ჩარევა!

— მეზობლებო, თქვენ მაინც იკისრეთ ვინმემ.

— ღმერთმა დაგვიფაროს!

— მაშ თქვენ თვითონ იკისრეთ, ბატონო მევალევ!

— რას მიბრძანებთ... განა თქვენ თვითონ არ იცით, რომ მე ცოლშვილის პატრონი ვარ, მაგას სახლში რა შემატანინებს, ხომ გულები დაუსქდათ!

ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ საბრალო ადამიანის ჩონჩხს ჩამოხსნეს კისრიდგან უჯიათი მევალის ვალი.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

25 იანვარი

**პარიჟი.** პალატის კომისიას გარდაეცა დამატებითი გამოძიება, რომელიც მაზომ მოახდინა. გამოძიების დასკვნა საკეთილოა სასამართლოს წევრების ლევისა, ბარისა და დიუმასთვის. რა გარდაწყვეტილებას დაადგება კომისია მთავრობის პროექტის შესახებ, ძნელია ამისი თქმა.

**კროსენ-სკირენ.** გარდაიცვალა იმპერიის კანცლერად ნამყოფი გრაფი კაპრივი. გრაფი დიდი ხანი იყო ავად.

**ვაშინგტონი.** გენერალი ოტისი დეპეშით იუწყება მანილიდან, რომ საქმის მდგომარეობას არა უშავს რა და არავითარი საბუთი არა გვაქვს გვეშინოდეს რისიმე. ქალაქსა და მიდამოებში მყუდროება სუფევს. სანიტარული პირობები კარგია და ჯარიც ძლიერ კარგს გუნებაზე არის. კვირას, დილით, მეოთხე საათზე, ბრძოლა გვქონდა. მტერი რამდენჯერაც კი დაგვესხა თავს, ყოველთვის უკუვაქციეთ. განთიადისას ამერიკის ჯარი თავს დაესხა მტერს და მეამბოხენი წრეს გადაღმა გარეკა, რომელიც პირველად მათ ეჭირათ, და ამასთანავე რამდენიმე სიმაგრე დაიჭირა. ბრძოლაში დიდ მონაწილეობას იღებდა ფლოტი, რომელიც ყუმბარებს უშენდა მტრის ჯარს. ამერიკის ჯარები დიდის სიმამაცით იბრძოდნენ. შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ ომში გამარჯვება საზოგადოდ ამერიკის ჯარს დარჩაო.

26 იანვარი

**პარიჟი.** საკასაციო პალატამ, ვითარცა მაგისტრატურის უმთავრესმა საბჭომ გადასწყვიტა გამოძიებულ იქმნას საქმე ვერსალის სასამართლოს წევრის გროჟონისა, რომელმაც მიჰმართა წერილით ლებრეს და ამ წერილით ბრალსა სდებს სისხლის სამართლის პალატის წევრთ დრეიფუსის საქმის ხელმეორედ განხილვის გამოძიებაში პირმოთნეობა გამოიჩინესო.

**პარიჟი.** დრეიფუსის საქმის ხელ-მეორედ განხილვის კომისიამ მოისმინა დღეს დიუპუის, რომელიც დაბეჯითებით სთხოვდა კომისიას, შეიწყნარეთ პროექტი და ისიც, რაც შეიძლება მალეო. კომისია შეეკითხა დიუპუის, შესაძლებელია თუ არა გამოძიებულ საბუთების გამოქვეყნებაო. დიუპუიმ უპასუხა, თუმცა არც თუ ძლიერ მოსახერხებელ საქმეთ მიმაჩნია გამოქვეყნება ამ საბუთებისა, მაგ... სრულს თავისუფლებას ... კომისიას, რომელმაც თითონ ... და აგოს პასუხიო. საბუთის ...ლდების შინაარსი უნდა დაი...დოს და დეპუტატებს დაურიგ... დიუპუის წასვლის შემდეგ 9 ... უმეტესობით წინააღმდეგ 2 ...ჰყო პროექტი და საქმის მო...ნება დაავალა რენო მორლი..., რომელიც მოხსენებას ოთხშა... წარადგენს. ერთხმად იქმნა ... დაწყვეტილი გამოვაქვეყნოთ ...ბუთის ქაღალდებიო. საქმის მო...ხსენებელი ოთხშაბათს მოითხ... რომ პალატამ განხილვა საქ... პარასკევისათვის დანიშნოს.

**პარიჟი.** დიუპუის დაე...ნენ კომისიის გარდაწყვეტილ... შესახებ და მან სთქვა, რომ მ...რობა დაეკითხება პალატას გ...დობით თუ არაო და უარჰყ... ყოველგვარ წინადადებას, რომ...საც სახეში ექმნება კანონ... სიითის შეცვლა.

**პარიჟი** კომისიის ბჭობამ ძ...ერ ცოტა ხანს გასტანა. მთავ...ბის პროექტის მოწინააღმდ... ცხრა კაცმა განაცხადეს, რომ პრ...ექტს კავშირი აქვს მაზოს გა...ძიებასთან და რადგანაც გამოძ...ბა საბუთიანი არ იყო, ამიტ... პროექტიც უნდა უარვყოთო.


# განცხადებანი

## განცხადება
## იაკობ გოგებაშვილის წიგნებზე

**სხივი წარსულისა**, ისტორიული ამბავი, ფასი ერთი შაური.

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**, ისტორიული მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

**მოსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი აბაზი.

**თავდადებულნი ქართველნი**, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

**ასპინძის ომი**, ისტორიული მოთხრობა, მეფე ერეკლეს პორტრეტით და ქარტით, მეორე გამოცემა, ფასი ორი შაური.

**РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванію по русскому слоу, გამოცემა მეორე, შევსებული, ფასი ყდით სამი აბაზი.

**ОЧЕРКЪ**, сравнительной грамматики русскаго и грузинскаго языковъ ფასი ერთი აბაზი.

**КЪ ВОПРОСУ**, поднятія уровня образованія среди грузинскаго дворянства, ფასი ერთი აბაზი.

**РАЗБОРЪ**, учебныхъ руководствъ по русскому языку, ფასი ერთი შაური.

**НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО**, ფასი ერთი აბაზი.

—

ყველა ეს წიგნები იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და დასავლეთს საქართველოში წიგნის მთავარ მაღაზიებში: ბეჟანიშვილთან, თავართქილაძესთან, წერეთლებთან, ხეთერელთან და ჭილაძესთან. (1—6)

იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

მ. ღლონტის გამოცემული წიგნები:

რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცახელისა 10 კ.
ნათელა, პოემა აკაკისა . 20 კ.
ნამზრდელი, მისივე . . 5 „
გოდა . . . . . . . 5 „
საუკეთესო ლექსა კრება .
მარო, დ. მაჩხანელისა .
იბეჭდება და მალე გამოვა გასას[...]
პოემების კრებული
აჩრდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი . . .
(50—10